თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი

N 8

ქ. თეთრიწყარო 02 ოქტომბერი, 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. ჯემალ ბორცვაძე
3. გალინა ოქროპირიძე
4. მურმან დვალაძე
5. ლეილა ხაჭვანი
6. მინდია ცეცხლაძე
7. ალექსანდრე კვერნაძე
8. ია არსენიშვილი
9. ნაზი პოილარაშვილი
10. დავით ბაციკაძე
11. გოჩა კაპანაძე
12. ხათუნა ახალაია

დღის წესრიგი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შენიშვნები და რეკომენდაციები დოკუმენტზე „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგია"; ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" თაობაზე შენიშვნების განხილვა;
2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;
3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის განხილვა;

განიხილეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შენიშვნები და რეკომენდაციები დოკუმენტზე „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგია";

აზრი გამოთქვეს :

მრჩეველთა საბჭომ განიხილა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგია" და სხდომაზე წარმოადგინა შესაბამისი შენიშვნები და რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ გულიკო შოშიტაშვილმა სხდომაზე დააყენა დოკუმენტის „მერების ეკონომიკური ზრდისთვის“ თაობაზე წარმართულ პროცესებში მრჩეველთა საბჭოს ჩართულობის საკითხი, რომელიც თვლის, რომ სჯობდა მრჩეველთა საბჭო ჩართულიყო ამ პროცესში, როდესაც სამუშაო ჯგუფის წევრები ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებოდნენ.

საბჭოს წევრის ნაზი პოილარაშვილის აზრით, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებული შეხვედრები არასწორად წარიმართა და მოიყვანა კონკრეტული მაგალითი, როდესაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ ახალგაზრდებს, რომელთა უმეტესობა ბავშვებს წარმოადგენდა. იგი თვლის, რომ შეუძლებელი იყო ბავშვების მიერ ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების წამოჭრა და წარდგენა.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა გოგა ასუმბანმა აღნიშნა, რომ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც 17 წევრისგან არის დაკომპლექტებული და მუშაობს აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებულ სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმის შექმნაზე.

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის“ თაობაზე დისკუსიაში საბჭოს წევრები აქტიურად ჩაერთვნენ. ალექსანდრე კვერნაძე მიიჩნევს, რომ თუ ამ დოკუმენტს სათაურად ეწერება „ტურიზმის კონცეფცია“, მაშინ შესაძლებელია ძალიან კარგ დოკუმენტად ჩაითვალოს.

მურმან დვალაძე თვლის, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ასახული ინფორმაცია უბრალოდ დაკოპირებულია სხვა რაიმე დოკუმენტიდან.

გალინა ოქროპირიძემ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ტურისტულ რესურსებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მის ორგანიზაციაში ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში არსებობენ გადამზადებული პროფესიონალი გიდები, რომლებიც სწორი სტრატეგიის არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვანი რესურსი იქნებოდა მუნიციპალიტეტისთვის.

ხათუნა ახალაიამ აღნიშნა, რომ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის“ ხელახლა შემუშავების პროცესში აუცილებელია ადგილობრივი ჯგუფი ჩაერთოს და სამუშაო ჯგუფი არ დაკომპლექტდეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებით.

დაადგინეს:

საბჭომ შეისწავლა სტრატეგია, გაითვალისწინა თეთრიწყაროში არსებული ვითარება და ჩამოაყალიბა დოკუმენტებთან დაკავშირებული შემდეგი სახის შენიშვნები:

შენიშვნები და რეკომენდაციები დოკუმენტზე

„თეთრიწყაროს მუნიციპალიუტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“

ტერმინის მნიშვნელობა მენეჯმენტის თვალსაზრისით: სტრატეგია მართვის ინტეგრირებული მოდელია, რომელიც წარმოადგენს დროში გაწერილ და პრიორიტეტებად დალაგებულ სამოქმედებო გეგმას, ქმედებების გეგმას, რომელიც კონკრეტულ დროში უნდა შესრულდეს კონკრეტული გაზომვადი შედეგებით. სტრატეგიული დოკუმენტი ასევე, უნდა იძლეოდეს შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

განხილული დოკუმენტის მიხედვით, თუკი ნათქვამია, რომ მუნიციპალიტეტის სტრატეგიაა „ჩვენი ეკონომიკის მთავარი დასაყრდენი გახდეს ტურიზმი“ და ამას არ მოსდევს დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა, მაშინ ეს ლოზუნგია და ამ შემთხვევაში შესაძლებელია სახეზე გვქონდეს შემდეგი სახის სურათი: დაიწეროს და შეუსრულებლად ან რთულად შესასრულებლად იქცეს დოკუმენტი, სახელწოდებით: „ტურიზმის განვითარების სტრატეგია“.

სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი

- აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ორგანიზაციის ყველა ფუნქციურ დანაყოფს ჰქონდეს განვითარების საერთო სტრატეგია;
- შიდა მენეჯერული პროცესებით და პროგრამული აქტივობებით აღწევს სასურველ შედეგს;
- ოპერაციული და ტაქტიკური გადაწყვეტილებებით ქმნის ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარების გეგმას

საბჭო მიიჩნევს, იმისათვის, რომ დოკუმენტი იქცეს სტრატეგიული გეგმად, უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს:

- როგორია არსებული ვითარება?
- რას უნდა მივაღწიოთ გრძელვადიან პერიოდში (2025 წლისთვის)?
- როგორ უნდა მივაღწიოთ ამ შედეგს?
- რა ინდიკატორებით უნდა გაიზომოს შედეგები?
- როგორ და ვინ უნდა განახორციელოს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და ანალიზი?

სადემონსტრაციოდ შეიძლება გადაიხედოს საქართველოს ტურიზმის სტრატეგია.

საბჭოს მიაჩნია, რომ:

არსებული ვითარების აღწერის ნაწილში ნაშრომი ვერ გვთავაზობს ვერცერთ გაზომვად ინდიკატორს და შემოიფარგლება ფრაზებით: „ტურისტების ნაკადების ანალიზმა აჩვენა“, „სახეზეა ფარული მოთხოვნა“, „არსებობს ბევრი პოტენციური ტურისტი“, „ტურისტული ბაზრის ანალიზმა აჩვენა“ და ა.შ. იმის გარდა, რომ წარმოდგენილი აღწერა არის ზოგადი, ნაშრომი არ მიუთითებს წყაროს, რომელიც დაასაბუთებდა მის მიერ წარმოდგენილ შეფასებებს. ნაშრომი არც თვითონ გვთავაზობს - როგორ გაიზომა ან შემდგომში როგორ უნდა გაიზომოს ეს ტურისტული ნაკადები (შეფასებისთვის), როგორ, რა თვისობრივი ინდიკატორით შეფასდა ეს ფარული მოთხოვნა და როგორ უნდა შეფასდეს შემდგომ, შედეგების გაზომვის მიზნით.

ასევე, „მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების შედეგად“ ნაშრომი გვთავაზობს იმ სექტორების ჩამონათვალს, რომელიც უნდა განვითარდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ესენია:

1. ტურისტული ტურების ორგანიზება;
2. კულტურული ტურიზმი;
3. ბუნების ტურიზმი მსუბუქი კომპონენტებით;
4. სპორტი და სათავგადასავლო ტურიზმი.

მრჩეველთა საბჭო თვლის, რომ აგროტურიზმი, რომელიც ამ ჩამონათვალში არაა, რომელიც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში უკვე სახეზეა და საკმაოდ მზარდია, აქვს ყველაზე მეტი თუ არა, მნიშვნელოვანი პოტენციალი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაში და ადგილობრივი მოქალაქეებისთვის შემოსავლების გაზრდის მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა.

ნაშრომი, იმის გარდა, რომ შემოთავაზებული სტრატეგიის განსახორციელებლად შერჩეულ პროგრამებს არ უდგენს ვადებს, ის მათ არც პრიორიტეტულად ალაგებს. მაშინ როდესაც, პროგრამების კონკრეტიკა, მათი დროში დაგეგმვა და პრიორიტეტიზაცია, წარმოდგენილ დოკუმენტს ქმედებების გეგმად და გამოყენებად/უფრო მეტად გამოყენებად დოკუმენტად აქცევდა.

საბჭომ ასევე ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილი დოკუმენტის ტექნიკურ მახასიათებლებსა და ნაშრომის დიზაინზე და მიუთითებს შემდეგი სახის ხარვეზებზე:

1. გვერდები არაა დანომრილი
2. არა აქვს სარჩევი
3. ტექსტი სტილისტურად გაუმართავია (წარმოგიდგენთ კონკრეტულ ამონარიდებს დოკუმენტის ტექსტიდან:

   - *ყველა ადგილებს;*
   - *ფაქტიურად;*
   - *არ არსებობა;*
   - *გაადვილებს;*
   - *დაბალი ხარისხის მომსახურების დონე;*
   - *სხვადასხვა რესურსები;*
   - *იდენტიფიცირებულთა შორის მხარდამჭერი სექტორების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტები არიან: ტრანსპორტი, შემფუთავები, მაღაზიები, სუვენირები;*
   - *ისინი ერთმანეთს შორის არიან კონკურენციაში*

   და ა.შ.)

4. არ არის მითითებული გამოყენებული წყაროები;
5. არ არის მითითებული გამოყენებულ ტერმინთა განმარტება;
6. დოკუმენტის ელ. ვერსია არის დაუფორმატებელი და იმის გარდა, რომ არ იკითხება, იქმნება დოკუმენტის ავთენტურობის საფრთხე.
7. ცხრილები შედგენილია გაუგებრად.
8. დოკუმენტში არ არის ინფორმაცია/ჩამონათვალი ავტორებისა და დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელი პირების/ორგანიზაციის შესახებ.
9. არ იძებნება ინფორმაცია, თუ ვისი ხელშეწყობით, როდის და სად მომზადდა ის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მრჩეველთა საბჭო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არის თეორიული ნაშრომი ტურიზმის მენჯმენტში და წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კონცეფციას. იქიდან გამომდინარე, რომ მასში თავმოყრილი ინფორმაცია ზოგადია

და აკლია კონკრეტიკა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის სამოქმედო გეგმის შედგენის დროს შესაძლოა, რომ ის სახელმძღვანელოდ ვერ გამოდგეს. ის თავის მხრივ საინტერესოა და მისი ღირსება იმაშია, რომ თუკი მასში შევცვლით გეოგრაფიულ ტოპონიმებს და სხვა იდენტიფიკატორებს, თავისუფლად შეიძლება ის მოერგოს სხვა მუნიციპალიტეტების ინტერესებსაც.

იმისათვის, რომ არსებული ნაშრომი ჩამოყალიბდეს ქმედუნარიან სტრატეგიულ დოკუმენტად, საბჭო თვლის, რომ ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:

1. ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი რა მოცემულობა, რა პირობები და რა რესურსი გვაქვს (შეფასებული სათანადოდ - თვისობრივი ან რაოდენობრივი ინდიკატორებით);
2. უნდა აღწერდეს ფონურ მდგომარეობას და უნდა აჩვენებდეს ზოგად სურათს გრძელვადიან პერსპექტივაში, ხედავდეს მოსალოდნელ შედეგებს, რისკებს და გეგმავდეს პრევენციულ ღონისძიებებს;
3. თანამიმდევრულად, პრიორიტეტულად უნდა სთავაზობდეს სტრატეგიის განმახორციელებელ ორგანიზაციას (ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიას) მისი თითოეული ქვედანაყოფის, რგოლის თუ სამსახურის როლს და ადგილს ამ გეგმაში.
4. მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს პრიორიტეტულ მიმართულებებს და უნდა აჩვენებდეს, თუ სად უნდა მოხდეს რესურსების კონცენტრაცია.
5. სტრატეგიული დოკუმენტი ხელს უნდა უწყობდეს გუნდურ მუშაობას და მოტივაციას და შესაძლებლობას უნდა აძლევდეს მის განმახორციელებლებს გაზარდონ თავისი კომპეტენცია.
6. წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის გეგმა და მასზე პასუხისმგებელი ორგანოები.
7. სტრატეგიული დოკუმენტი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ქმედებათა გეგმებში კორექტირება ისე, რომ დაცული იყოს მთავარი სტრატეგია.

ვინაიდან, ადგილობრივი საზოგადოება და თეთრიწყაროს ადგილობრივი თვითმმართველობა ვთანხმდებით, რომ ტურიზმი არის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის დონისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდის უმთავრესი სფერო, საბჭოს მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიაჩნია, რომ დოკუმენტი, რომელიც ამ სფეროს ხერხემალია, უნდა იყოს ქმედითი და უნაკლო.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობები გვაძლევს იმისი თქმის საფუძველს, რომ თეთრიწყაროს მერიისთვის მნიშვნელოვანია თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა. ვიმედოვნებთ, რომ ეს დამოკიდებულება ასევე აისახება ტურიზმის სტრატეგიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც.

ასეთი პარტნიორული და საქმიანი თანამშრომლობა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის წარმატების, ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაძლებლობა და მის მიერ განხორციელებული მმართველობის ღიაობის დემონსტრირება იქნება.

განიხილეს:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;

აზრი გამოთქვეს :

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა ფატი შავაძემ მრჩეველთა საბჭოს წარუდგინა წერილობითი და ზეპირი განმარტებები საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, მრჩეველთა საბჭოს შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა გახლავთ საქართველოს მთავრობის სტრატეგიული დაგეგმვის გრძელვადიანი დოკუმენტის - კულტურის სტრატეგია 2025-ის განხორციელების ერთწლიანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს 2018 წელში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, კულტურის სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს/აქტივობებს შესაბამისად, დოკუმენტში თარიღის ველში მითითებულია 2018 წელი. დოკუმენტის და მერის წლიური ანგარიშის საფუძველზე შესაძლებელი გახდება სამოქმედო გეგმის ეფექტურობის განსაზღვრა. ასევე, შესრულების ინდიკატორი მოცემულია წარსულ დროში, რაზედაც იყო მითითება კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებისგან, ვინც უშუალოდ კურირებდა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესებს მუნიციპალიტეტებთან.
2. ბიუჯეტის ველში ,,-" ნიშანი აღნიშნავს, რომ მუნიციპალურ ბიუჯეტში ვერ მოხდა თანხის გათვალისწინება და მიმდინარეობს დონორის მოძიება. აღნიშნული შენიშვნა გაითვალისწინა მერიის შესაბამისმა სამსახურმა და დოკუმენტში განმარტების სახით ჩაემატა ,,-''-ის, ასევე ,,0"-ის განმარტება, რომელიც გულისხმობს, რომ ღონისძიება არ საჭიროებს ფინანსურ რესურსს.
3. ამ ეტაპზე ადგილობრივ დონეზე კულტურის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა სახელმწიფო დოკუმენტი იძლევა შესაძლებლობას მუნიციპალურ დონეებზე პრიორიტეტების ადგილობრივი საჭიროებებისდა მიხედვით განსაზღვრის. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით ეფექტური და გონივრული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა თავისუფლად შესაძლებელია იყოს ის მექანიზმი, რომელიც ეტაპობრივად მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე.
4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი დაიგეგმება ღიად და გამჭვირვალედ, ხელი შეეწყობა ყველა აუცილებელი სექტორის ჩართულობას ასევე, გათვალისწინებული იქნება წარსული გამოცდილება და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები.
5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს ააიპ ,,თეთრიწყაროს განვითარების ფონდი", რომლის უმთავრეს მიზანს სწორედ, რომ დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება და მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.
6. 2018 წელი დაფინანსების წყაროების მოძიების თვალსაზრისით შესაძლებელია ჩაითვალოს ნაყოფიერ წლად. მერიამ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, ასოციაცია სამხარეო

განვითარება მომავალი საქართველოსთვის - RDFG და თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეძლო 5 მნიშვნელოვანი პროექტის (ააიპ ,,თეთრიწყაროს სპორტული სკოლა' - კრივის დარბაზის რეაბილიტაცია; ააიპ ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრი' - საბავშო ბაღების ეზოსი სათამაშო მოედნების მოწყობა; ააიპ ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლა" - სკოლის რეაბილიტაცია; ააიპ ,,თეთრიწყაროს მხარეტმცოდნეობის მუზეუმი" - მუზეუმის რეაბილიტაცია; ააიპ ,,თეთრიწყაროს განვიტარების ფონდი" - სპორტული მოედნის რეაბილიტაცია) დაფინანსებისთვის თანხის 549 270. 44 ლარის მოპოვება (თანადაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან 65788.23 ლარი)

7. მუნიციპალიტეტეტს დაფინანსების წყაროების მოძიების სტატეგიული გეგმა, ამ ეტაპზე, არ გააჩნია.

დაადგინეს :

საბჭოს წევრებმა მოისმინეს მომხსენებლის განმარტებები. მათთვის მისაღებია მუნიციპალიტეტის მიერ საბჭოსგან მიღებულ რეკომენდაციებზე საპასუხო განმარტებების მომზადების ეს ფორმა.

განიხილეს:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმა;

აზრი გამოთქვეს:

საბჭოს წევრმა ნაზი პოილარაშვილმა სოფელ ჯორჯიაშვილში არსებულ წყლის პრობლემაზე ისაუბრა, რომელიც დღესდღეობით ძალიან მწვავედ დგას სოფელში. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმებში წლების განმავლობაში იწერება, რომ სოფელ ჯორჯიაშვილში უნდა მოგვარდეს წყლის პრობლემა, თუმცა, აღნიშნული დღემდე გადაუჭრელია. მან ასევე, დასვა კითხვა, უწევს თუ არა რომელიმე ორგანო ან პირი ზედამხედველობას/მონიტორინგს სოფელ ჯორჯიაშვილში შესრულებულ წყლის სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ამუშაოებს.

ნაზი პოილარაშვილმა გარდა წყლის პრობლემისა, სოფელში შიდა გზების რეაბილიტაციის საკითხთან დაკაშირებით ისაუბრა და მაგალითად მოიყვანა ადგილობრივ სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, რომელიც უახლოეს მომავალში შესაძლოა სრულად განადგურდეს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ნატო ალთუნაშვილმა ნაზი პოილარაშვილის კითხვებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დაზიანებული წყლის სისტემის ზედამხედველობას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ა(ა)იპ-ი. არსებული პრობლემების მოგვარება ხდება მყისიერად მუნიციპალიტეტის შესაბამისი ა(ა)იპ-ის მიერ. თუ შესრულებულ სამუშაოებს აქვთ საგარანტიო ვადა, მაშინ მერია მიმართავს სამუშაოების შემსრულებელს ხარვეზების გამოსასწორებლად.

საბჭოს წევრმა მინდია ცეცხლაძემ სოფელ წინწყაროში არსებულ წყლის პრობლემაზე ისაუბრა. სოფელს დღეების განმავლობაში არ მიეწოდება წყალი. ნატო ალთუნაშვილმა განაცხადა, რომ სოფელ წინწყაროში 4 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი თანხები წყლის სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით არ დახარჯულა. მისი თქმით, სოფელ წინწყაროში არსებული წყლის დებედი ძალიან ცოტაა, გარდა ამისა, წყაროები მეწყრულ ხევშია განლაგებული, რის შედეგადაც იკარგები მრავალი წყარო.

ამის შემდგომ ნატო ალთუნაშვილმა პრეზენტაცია გააკეთა 2019-2021 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის თაობაზე და ასევე, აღნიშნა, რომ სოფელ წინწყაროსა და ჯორჯიაშვილის სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები გათვალისწინებულია 2019 წლის სამოქმედო გეგმაში. პრეზენტაციის განმავლობაში მომხსენებელი არაერთ დაგეგმილ სამუშაოს შეეხო და ამომწურავად გააცნო მრჩეველთა საბჭოს საბოლოო სამოქმედო გეგმა. პრეზენტაცია მიმდინარეობდა დისკუსიის ფონზე.

საბჭომ დაასრულა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა და გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

მრჩეველთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესთავაზოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს წარმოდგენილი ნაშრომი დაუბრუნოს შესაბამის სამსახურს და სთხოვოს მისი კორექტირება. ასევე, წერილობით აცნობოს მრჩეველთა საბჭოს აღნიშნულთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ამით საბჭომ დაასრულა მუშაობა.

სხდომის მდივანი: ჯემალ ბორცვაძე

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. გალინა ოქროპირიძე
3. მურმან დვალაძე
4. ლეილა ხაჭვანი
5. მინდია ცეცხლაძე
6. ალექსანდრე კვერნაძე

7. ია არსენიშვილი

8. ნაზი პოილარაშვილი

9. დავით ბაციკაძე

10. გოჩა კაპანაძე

11. ხათუნა ახალაია